მესამე დამარცხება

ხარკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ხარკოვის სტადიონზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი ადგილობრივი "ლოკომოტივისა" და თბილისის "დინამოს" შეხვედრის საყურებლად. მთელი მოედანი დაფარული იყო წყლით, რაც ორივე გუნდისათვის მეტად აძნელებდა თამაშს.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდებს დიამეტრალურად საწინააღმდეგო ადგილები უკავიათ ცხრილში – თბილისელები ლიდერთ შორის არიან, ხოლო ხარკოვის "ლოკომოტივი" უკვე კარგა ხანია აუტსაიდერია, თამაში თავიდანვე დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. პირველ ხანებში ინიციატივა დინამოელთა მხარეს იყო. მიუხედავად "ლოკომოტივის" მცველების თავგამოდებული თამაშისა ღოღობერიძე, კ. გაგნიძე, კოტრიკაძე კარგად გავიდნენ მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ დამამთავრებელი არაზუსტი დარტყმის გამო ამ გარღვევებს შედეგი არ მოჰყოლია. ხარკოველებმა უნარიანად მოიგერიეს სტუმრების შეტევა და თანდათან თვითონ გადავიდნენ იერიშზე. თამაშმა თბილისელთა მხარეს გადაინაცვლა. ორჯერ მეტად სახიფათო ბურთები აიღო სანაიამ. პირველი ტაიმის დასასრულს, 42–ე წუთზე ერთ–ერთ დაძაბულ მდგომარეობაში მცველი სარჯველაძე ბურთზე ხელით დაეცა თავის საჯარიმო მოედანზე და მსაჯმა დემჩენკომ დანიშნა 11–მეტრიანი საჯარიმო თბილისელთა კარში. ხარკოველებმა ანგარიში გახსნეს.

მატჩის დასასრულისათვის თბილისელები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. ხშირად "ლოკომოტივის" კართან თბილისელთა 6–7 მოთამაშე იკრიბებოდა, მაგრამ ხარკოველთა კარი აუღებელი აღმოჩნდა. რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა "ლოკომოტივის" კარი გაგნიძისა და ღოღობერიძის კომბინაციის შემდეგ, მაგრამ ბურთი ზედ კარის ხაზთან გაჩერდა წყალში.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0 ხარკოვის "ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

"ლელო", 2 ივნისი, 1954 წ.